

საქართველოს კანონი

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“  
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №11, 10.04.2007, მუხ. 97) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ადმინისტრაციის უფროსი გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი